

მომზადებულია
ფონდისათვის

დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

მოსახლეობის განწყობა პოლიციის მუშაობის მიმართ
ანგარიში

შემსრულებელი ორგანიზაცია:
ბიზნეს კონსალტინგის ჯგუფი *კელევა* (BCG Research)

თბილისი, 380079
აღმაშენებლის 147ა
ტელეფონი/ფაქსი 950139
ელ-ფოსტა: office@bcg.ge, research@bcg.ge

მარტი, 2005 წელი

კვლევის მახასიათებლები

კვლევის საგანი	მოსახლეობის დამოკიდებულებები საპატრულო პოლიციის მიმართ, საპატრულო პოლიციის დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, პატრულის მუშაობაში არსებული ძირეული პრობლემები.
კვლევის ადგილი	თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი
გამოყენებული მეთოდი	თვისობრივი კვლევის პირისპირ ინტერვიუს მეთოდი
საველე სამუშაოების ვადები	3 მარტიდან 14 მარტამდე
სამიზნე აუდიტორია	1. ზოგადი მოსახლეობა: 17-21 მამაკაცები, 30-50 შერეული კაცი/ქალი 2. საპატრულო პოლიციის რიგითი თანამშრომლები
ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	ზოგადი მოსახლეობა n = 115 საპატრულო პოლიციის რიგითი თანამშრომლები n = 50
პროექტის მენეჯერი	რუსუდან ველიძე

სარჩევი

1	ტექნიკური ინფორმაცია.....	7
1.1	კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია.....	7
1.2	კვლევის მიზნები, საკვლევი საკითხები.....	8
	ძირითადი მიგნებები.....	8
	ანგარიშის ძირითადი ნაწილი..	...10
I.	მოსახლეობის მოსაზრებები საპატრულო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებით.....	11
2	მოსახლეობის ზოგადი მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში მიღების ობიექტურობის შესახებ.....	11
2.1	გამოკითხული მოსახლეობის მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ.....	12
2.2	საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობა არაობიექტურობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები მოსახლეობისათვის.....	13
3	მოსახლეობის დამოკიდებულება საპატრულო პოლიციის მიმართ. უშუალო ურთიერთობები პატრულსა და მოსახლეობას შორის. პატრულთან ურთიერთობით კმაყოფილების ხარისხი.....	15
3.1	კრიტიკრიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.....	15
3.2	საზოგადოებისა და პატრულის დამოკიდებულების შეფასება.....	17
4	მოსახლეობის დამოკიდებულება მოწმის ინსტიტუტის მიმართ.....	18
4.1	მოსაზრებები მოწმის ინსტიტუტის შესახებ.....	18
4.2	მოწმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის განსახორციელებელი ქმედებები.....	19
4.3	სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის სწორი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ქმედებანი.....	20
5	მოსახლეობის დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა "ვიდეოპატრულისა" და "ვიდეოპატრულის" სპეცრეპორტაჟების მიმართ.....	21
5.1	საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა „ვიდეოპატრულის“ მიმართ.....	21

5.2	საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა „ვიდეოპატრულის“ სპეცრეპორტაჟების მიმართ	23
6	მოსახლეობის დამოკიდებულება საუკეთესო პატრულის გამოვლენის მიმართ	24
6.1	მოსახლეობის დამოკიდებულება საუკეთესო პატრულის შეფასების კრიტერიუმების მიმართ	24
6.2	მოსახლეობის დამოკიდებულება "საუკეთესო პატრულის" გამოვლენის მიმართ	25
7	საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შეფასება, მოსახლეობის თვალთ დანახული საპატრულო პოლიციის პრობლემები.....	26
7.1	დანაშაულის რაოდენობის ცვალებადობა საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შემდეგ	26
7.2	საპატრულო პოლიციის შექმნისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება..	27
7.3	მოსახლეობის თვალთ დანახული საპატრულო პოლიციის პრობლემები	28
8	განსხვავებები ყოფილ პოლიციასა და საპატრულო პოლიციას შორის.....	29
8.1	მოსახლეობის თვალთ დანახული განსხვავებები.....	29
8.2	პატრულის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები.....	30
II.	საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოსაზრებები.....	29
9	პატრულის თანამშრომელთა მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში მიღების ობიექტურობის შესახებ.....	31
9.1	გამოკითხულ პატრულთა მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ.....	31
10	საპატრულო პოლიციაში მუშაობის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი პრობლემები, აუცილებელი ტრენინგები და სწავლებები.....	32
10.1	საპატრულო პოლიციაში მუშაობის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი პრობლემები	32
10.2	პოლიციელისათვის აუცილებელი ტრენინგები და სწავლებები.....	32
10.3	ჩატარებული ტრენინგებისა და სწავლებების კმაყოფილების ხარისხი ..	33
10.4	საპატრულო პოლიციის აღჭურვილობის შეფასება პოლიციელთა მიერ	34
10.5	პრობლემები, რომელსაც აწყდება პატრული ყოველდღიურ საქმიანობაში	34
10.6	პრობლემები, რომლებიც ექმნება საპატრულო პოლიციას მოწმებთან დაკავშირებით.....	36

11	საპატრულო პოლიციასა და საზოგადოებას შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების მიზეზები.....	37
11.1	საპატრულო პოლიციისა და შ.ს.ს.–ს სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლობის ხარისხი.....	37
11.2	მოკვლევის სამსახურის საქმიანობის შეფასება.....	38
11.3	საზოგადოებასთან ურთიერთობის პატრულისეული შეფასება. კონფლიქტური სიტუაციები საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს.....	38
12	მედიისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და საზოგადოებისაგან საპატრულო პოლიციის მხარდაჭერის სახეები, მხარდაჭერის მოლოდინები.....	39
12.1	საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოსაზრებები მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხარდაჭერის შესახებ	39
12.2	რა აღიზიანებთ პატრულის თანამშრომლებს მედიის მიერ პოლიციის საქმიანობის გაშუქების დროს	40
12.3	მხარდაჭერის სახეები, რომელიც, პატრულის აზრით უნდა გამოხატოს მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ	41
12.4	ვიდეოპატრულის ყოველდღიური გაშუქების შედეგები, პატრულისა და ჟურნალისტების ურთიერთობები.....	42
12.5	პატრულის მუშაობაში ტელევიზიის მონაწილეობით გამოწვეული პრობლემები	42
13	პატრულის თანამშრომელთა დამოკიდებულება "საუკეთესო პატრულის" გამოვლენის მიმართ	43
	საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ საუკეთესო პატრულის გამოსავლენად დასახელებული კრიტერიუმები.....	43
14	საპატრულო პოლიციის შიდა სისტემის, შიდა ურთიერთობის საკითხები.....	43
14.1	მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები.....	43
14.2	სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შექმნილი დამატებითი გარემოებები.....	44
15	საპატრულო პოლიციაში არსებული შედაგათები და პრობლემები, რომლის გადაჭრის შემთხვევაში პოლიციის მუშაობა გახდება უფრო ეფექტური. საპატრულო პოლიციაში მუშაობის მოტივაცია.....	45
15.1	საპატრულო პოლიციაში არსებული შედაგათები	45
15.2	პრობლემები, რომლის გადაჭრის შემთხვევაში პოლიციის მუშაობა გახდება უფრო ეფექტური.....	46
15.3	შესრულებული სამუშაოსა და ანაზღაურების შესაბამისობა.....	47
15.4	საპატრულო პოლიციაში მუშაობის მოტივაცია.....	47

16	განსხვავებები ყოფილ პოლიციასა და საპატრულო პოლიციას შორის.....	48
16.1	პატრულის თვალთ დანახული განსხვავებები.....	48
17	დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს.....	48

ტექნიკური ინფორმაცია

1.1 კვლევისათვის გამოყენებული მეთოდოლოგია

გამოკითხვა ჩატარდა საქართველოს ოთხ ქალაქში: თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და თელავში.

გამოყენებულ იქნა პირისპირ ინტერვიუს მეთოდი, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა:

1. ზოგადი მოსახლეობის 115 წარმომადგენელი, რომელშიც გამოყოფილი იყო 2 ასაკობრივი ქვეკატეგორია:
 1. 17-21 წელი – ამ ასაკობრივ კატეგორიაში გამოკითხულ იქნენ მხოლოდ მამაკაცები
 2. 30 - 50 წელი – გამოკითხულ იქნენ მამაკაცები და ქალები თანაბრად.
2. საპატრულო პოლიციის 50 რიგითი თანამშრომელი.

ინტერვიუები სამიზნე ჯგუფებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა:

	საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები	მოსახლეობა	
		ახალგაზრდა მამაკაცები (18-21 წელი)	30-50 წლის რესპონდენტები
თბილისი	20	10	40
ქუთაისი	10	5	20
ბათუმი	10	5	20
თელავი	10	5	20
	50	25	90
სულ		165	

გრაფიკული მასალა, შერჩევის მცირე ზომის გამო, გამოხატავს ზოგად ტენდენციას და შესაძლებელია გამოყენებული იყოს, როგორც დამხმარე საშუალება თვისობრივი მასალისათვის.

კვლევის მიზნები, საკვლევი საკითხები

კვლევის მიზანს შეადგენდა:

- საპატრულო პოლიციის მუშაობის მიმართ ზოგადი მოსახლეობის დამოკიდებულებების, განწყობებისა და მოლოდინების გამოვლენა;
- საპატრულო პოლიციის სისტემაში არსებული პრობლემური საკითხების გამოვლენა.

აღნიშნულ საკითხთა შესასწავლად გამოიყო შემდეგი საკვლევი ერთეულები:

I. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებთან

1. რამენაღობი ობიექტური კრიტერიუმებით ხდება საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება;
2. საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყების მოტივაცია;
3. საპატრულო პოლიციაში მუშაობის დაწყების პირველ ეტაპთან დაკავშირებული პრობლემები;
4. მუშაობის დაწყებამდე გასავლელი აუცილებელი სწავლებებით კმაყოფილების ხარისხი;
5. რამდენად სრულად არიან აღჭურვილები;
6. პრობლემები საპატრულო პოლიციის მუშაობაში;
7. ორგანიზაციის შიდა ურთიერთობები – რიგითი პატრულისა და ხელმძღვანელებს შორის ურთიერთობა;
8. დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა "ვიდეოპატრულისა" და "ვიდეოპატრულის" სპეცრეპორტაჟების მიმართ;
9. რამდენად გრძნობს საპატრულო პოლიცია მედიისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოებისაგან მხარდაჭერას, რა ტიპის მხარდაჭერას მოელოდა მათგან;
10. დამოკიდებულება მოწმის ინსტიტუტის მიმართ;
11. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების დამოკიდებულება პროექტის – 10 საუკეთესო პატრულის გამოვლენის მიმართ, საუკეთესო პატრულის შეფასების კრიტერიუმები;
12. პოლიციის თანამშრომელთა დამოკიდებულება შესრულებული სამუშაოსა და ანაზღაურების შესაბამისობის შესახებ,

II. მოსახლეობის წარმომადგენლებთან:

13. რესპონდენტების მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ;
14. რესპონდენტების დამოკიდებულება საპატრულო პოლიციის მიმართ. პატრულთან ურთიერთობით კმაყოფილების ხარისხი;
15. დამოკიდებულება მოწმის ინსტიტუტის მიმართ;
16. საპატრულო პოლიციასა და საზოგადოებას შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების მიზეზები;
17. დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა "ვიდეოპატრულისა" და "ვიდეოპატრულის" სპეცრეპორტაჟების მიმართ;
18. რესპონდენტების დამოკიდებულება პროექტის – 10 საუკეთესო პატრულის გამოვლენის& მიმართ, საუკეთესო პატრულის& შეფასების კრიტერიუმები;
19. პრობლემები საპატრულო პოლიციის მუშაობაში;
20. რა განსხვავებებს ხედავენ ამჟამინდელ საპატრულო პოლიციასა და წარსულში არსებულ შესაბამის სტრუქტურას შორის;
21. საპატრულო პოლიციის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები.

ძირითადი მიგნებები

- მოსახლეობისა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლების გამოკითხვის საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გამოტანა – ზოგადად, საქართველოში საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება საკმაოდ დადებითია. იმდენად, რომ მოსახლეობა მას *“მთავრობის ერთადერთ“* სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს. რესპოდენტთათვის საპატრულო პოლიცია:
 - ახალი, არაკორუმპირებული, ქმედითი სტრუქტურაა, რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით თავის ფუნქციებს და მოვალეობებს ასრულებს;
 - არის გაცილებით მობილიზებული და ოპერატიული, მოქმედებს ცივილური მეთოდებით და გააჩნია უკეთესი ტექნიკა;
 - მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, რომ პატრული კანონდარღვევის შემთხვევაში არ ერიდება მაღალჩინოსნების დაკავებას. მუშაობს

საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და არა პირადი სარგებლის მიღების მიზნით. შემცირდა მოქალაქეებისათვის სამხილის ჩადების შემთხვევები.

➤ მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ, მოსახლეობასა და თავად, პატრულის თანამშრომლებს შორის თითქმის იდენტურია:

- რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა მიღება ხდება ობიექტურად.
- თუმცა, გამოიკვეთა ამ საკითხის მიმართ უნდობლობით განწყობილი ნაწილის აზრი, რომლებიც მიზეზად ასახელებენ:
 - საპატრულო პოლიციაში ჩამოყალიბებული კადრების შერჩევის სისტემას;
 - პროტექციას, ნაცნობ-მეგობრობას ან გარკვეული თანხის (1200-დან 3000 დოლარამდე) გადახდის პირობებს, რის შედეგადაც, მათი აზრით, «ღირსეულნი» რჩებიან დაუსაქმებელნი, ხოლო პატრულის რიგები კომპლექტდება არაპროფესიონალებით;
 - მოსახლეობა პოლიციელის პროფესიონალიზმის კრიტერიუმებად, ძირითადად, უმაღლეს განათლებას და სათანადო ფიზიკურ მომზადებას ასახელებს.

➤ პატრულის თანამშრომელთა საუბარში გამოვლინდა მოსახლეობის ზოგადი მენტალიტეტიდან გამომდინარე პრობლემები, რაც, ძირითადად, საზოგადოებასთან ურთიერთობაში ეჭვიმტანილის მხრიდან გაწეულ წინააღმდეგობებსა და მოწმის ინსტიტუტის არსებობაში გამოიხატა. – დაკავებისას ეჭვიმტანილის წინააღმდეგობა პატრულის მიმართ, ნაწილობრივ გასაგებია, მოწმის ინსტიტუტის არსებობასთან დაკავშირებული პრობლემები პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებას, მისი კანონმორჩილების კულტურას. თუნდაც, დასახელებული პრობლემებიდან ჩანს, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული კანონის უზენაესობა და მოწესრიგებული კანონდამცავი სტრუქტურის - საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბებას მოუმზადებელი ხვდება.

➤ გამოიკვეთა მოსახლეობისა და პატრულის თანამშრომელთა მსგავსი დამოკიდებულება პროექტისადმი – „საუკეთესო პატრულის გამოვლენა“:

- საუკეთესო პატრულის გამოვლენა არ უნდა ხდებოდეს გახსნილი და აღკვეთილი დანაშაულის რაოდენობის მიხედვით, რადგან სხვადასხვა უბანში დანაშაულთა რიცხვი განსხვავებულია. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, პატრულის შეფასება ვერ მოხდება ობიექტურად;

- საუკეთესო პატრულის შეფასების კრიტერიუმებში, რესპოდენტები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას საპატრულო პოლიციის თანამშრომლების პიროვნულ ღირსებებზე ამახვილებენ და შემდეგ პროფესიონალიზმზე.
- საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალი მრავალფეროვანია, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა არასრული ტექნიკური აღჭურვილობის პრობლემა, ხოლო რეგიონის პატრულის თანამშრომლებში დაპირებული სახელფასო განაკვეთის შემცირების პრობლემა.

ანგარიშის ძირითადი ნაწილი

I. მოსახლეობის მოსაზრებები საპატრულო პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებით

2 მოსახლეობის ზოგადი მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში მიღების ობიექტურობის შესახებ

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების მიმართ რესპოდენტთა დამოკიდებულება შემდეგნაირია></>{:

- რესპოდენტთა უმრავლესობას საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების მიმართ დადებითი დამოკიდებულება აქვს.
- რესპოდენტებს შორის აღმოჩნდნენ მხოლოდ ერთეულები, რომლებსაც საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების მიმართ, უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ.

2.1 გამოკითხული მოსახლეობის მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ

რესპოდენტთა ნაწილის აზრით, საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება ნაწილობრივ, ან სრულიად არაობიექტურად ხდება.

საპატრულო პოლიციაში დასაქმების მიმართ, რესპოდენტთა არაობიექტური დამოკიდებულება, განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:


- რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საპატრულო პოლიციაში არ არის ჩამოყალიბებული კადრების შერჩევის სისტემა, რაც უზრუნველყოფდა კადრების ობიექტურ მიღებას.
- მათი აზრით, მოქალაქეთა დასაქმება, ხშირ შემთხვევაში, ხდება ნაცნობ-მეგობრობით, პროტექციით, ან გარკვეული თანხის (1200დან 3000 დოლარამდე) გადახდის პირობებში.
- რესპოდენტები თვლიან, რომ პატრულის რიგებში არის ბევრი ისეთი ადამიანი, რომლებსაც არ აქვთ სათანადო ცოდნა, არიან ფსიქიკურად გაუწონასწორებლები და სხვა. თუმცა, მათი აზრით, { *ბევრი ღირსეული ადამიანი, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდა მოთხოვნებს, არ მიიღეს საპატრულო პოლიციაში* }.
- რესპოდენტთა გარკვეული რაოდენობა, არაობიექტურად აფასებს ძველი, გამოცდილი და პროფესიონალი კადრების განთავისუფლებას. ისინი თვლიან, რომ მათი გამოცდილება ახალგაზრდა კადრების გაზრდას წაადგებოდა.

რესპოდენტთა ნაწილი გაუმართლებლად მიიჩნევს ყოფილი საგზაო პოლიციის კადრების პატრულში დასაქმებას.

რესპოდენტთა მოსაზრებები ყველა ქალაქში იდენტურია, განსხვავებული შეხედულებები ქალაქებში არ გვხვდება.

რესპოდენტთა დამოკიდებულება, საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა ობიექტურად დასაქმების შესახებ, შემდეგნაირად დაიყო:

- გამოკითხული მოსახლეობის მესამედი თვის, რომ საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება ხდება **სრულიად ობიექტურად**.
- გამოკითხულთა **ნახევარზე მეტი** თვის, რომ საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება ხდება **ნაწილობრივ ობიექტურად**.
- რესპოდენტთა რიცხვი, რომელთა აზრით საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება ხდება **სრულიად არაობიექტურად**, შეადგენს გამოკითხულთა **მეათედს**.




2.2 საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობა არაობიექტურობის შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროები მოსახლეობისათვის


- რესპოდენტები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობას არაობიექტურობის შესახებ, ინფორმაციის მიღების შემდეგ წყაროებს ასახელებენ:
 - პასუხებიდან ჩანს, რომ რესპოდენტთა უმრავლესობის ინფორმაციის წყაროს მეგობრები, ახლობლები და ნათესავები წარმოადგენენ.
 - ნაწილი რესპოდენტებისა ინფორმაციის წყაროდ ასახელებს მოქალაქეებს, ვინც თავად გაიარა ტესტირება.
 - რესპოდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, ინფორმაციის წყაროდ, ტელევიზიასა და პრესას ასახელებს.
 - ძალზე მცირე ნაწილი, პირადი მოსაზრების საფუძველზე, აფასებს მოქალაქეთა დასაქმების ობიექტურობას.

ყურადღებას იქცევს იმ რესპოდენტების მიერ დასახელებული საინფორმაციო წყაროები, რომლებიც თვლიან, რომ საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა დასაქმება ხდება ნაწილობრივ ობიექტურად, ან სრულიად არაობიექტურად.

რესპოდენტთა ინფორმაციის წყარო, რომელთა აზრით, საპატრულო პოლიციაში დასაქმება ხდება ნაწილობრივ არაობიექტურად:



რესპოდენტთა ინფორმაციის წყარო, რომელთა აზრით, საპატრულო პოლიციაში დასაქმება ხდება სრულიად არაობიექტურად:



მონაცემთა ჭრილიდან ჩანს, რომ რესპოდენტთა პასუხები, რომელთა აზრით, პატრულში მოქალაქეთა დასაქმება ხდება ნაწილობრივ, ან სრულიად არაობიექტურად, მნიშვნელოვნად არ განსხვავდება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნა:

- საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა მიღების შესახებ მოსახლეობაში არსებული ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს იგივე მოსახლეობის ინტერესებს, რის გამოც ინფორმაციის მოძიება ხდება მეგობრებში, ახლობლებში და ნათესავებში. თუმცა, ასეთი ფორმით მიღებული ინფორმაციის ობიექტურობა გაურკვეველია.

გამოკითხული მოსახლეობის მესამედი ნაწილის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ მოქალაქეები:

- ვინც თავად გაიარა ტესტირება და ვერ დასაქმდა საპატრულო პოლიციაში, ანუ განაწილებული მოქალაქეები.
- ასევე, მოქალაქეები, ვინც გაიარა ტესტირება და დასაქმდა საპატრულო პოლიციაში, ანუ ამჟამინდელი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები.

აქედან გამომდინარე, რესპოდენტთა მოსაზრება, საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა არაობიექტურად დასაქმების შესახებ, ნაკლებად საკამათოა.

3 მოსახლეობის დამოკიდებულება საპატრულო პოლიციის მიმართ. უშუალო ურთიერთობები პატრულსა და მოსახლეობას შორის. პატრულთან ურთიერთობით კმაყოფილების ხარისხი.

3.1 კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები

კრიტერიუმებში, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რესპოდენტთა უმრავლესობამ, უმაღლესი განათლება და სათანადო ფიზიკური მომზადება დაასახელა.


მათი აზრით, ეს ორი კრიტერიუმი მათ პროფესიონალიზმზე მეტყველებს და გარდა ამისა, მათთვის ყოველდღიურ აუცილებლობას წარმოადგენს, მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე. {

- *თხრილში ჩავარდნილის ამოსაყვანად ჩასული პატრული თავად რომ ვერ დაძრავს საკუთარ თავს, ან ცუდი ფიზიკური მომზადების გამო, სირბილი რომ უჭირს და დამნაშავე გაეჭვება, მისი იმედი როგორ უნდა გქონდეს.*
- *იურიდიული განათლება დამნაშავეს აყვანის დროს აუცილებელია. ზოგჯერ იმის გარკვევა უჭირთ, იარაღის ფლობის უფლება აქვს თუ არა დაკავებულს.*


რესპოდენტთა ერთი ნაწილი, პოლიციაში მუშაობის გამოცდილებას ანიჭებს უპირატესობას. მნიშვნელოვნად მიაჩნიათ, ასევე, პოლიციელის **მოტივირებულობა**. რაც, რესპოდენტთათვის, ძირითადად, საქმისადმი სერიოზული მიდგომის გარანტიაა.

პასუხებიდან გამომჩნდა, რომ რესპოდენტებს ნაკლებად მნიშვნელოვნად მიაჩნიათ შემდეგი კრიტერიუმები:

- იარაღის ფლობის გამოცდილება;
- ასაკი;
- გარეგნული მხარე;
- მიუკერძოებლობა;




რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები საზოგადოების მიერ დასახელებულ კრიტერიუმებს მეტნაკლებად აკმაყოფილებენ.



რაც შეეხება, პატრულის სამუშაო ფორმას, შეკითხვაზე, **მოგწონთ თუ არა პატრულის სამუშაო ფორმა?** რესპოდენტთა უმრავლესობამ გასცა დადებითი პასუხი.

- მკონი, თავიდან მათდამი კეთილგანწყობა ფორმებმა შეუქმნა მოსახლეობას. ფორმები ღამაზიც არის და რაც მთავარია, ძალზე მოწესრიგებულ იერს აძლევს პატრულებს, ისეთი შეკერილია.


მოგწონთ თუ არა პატრულის სამუშაო ფორმა?




3.2 საზოგადოებისა და პატრულის დამოკიდებულების შეფასება

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებით, პატრულის თანამშრომლების დამოკიდებულება საზოგადოებასთან საკმაოდ კეთილგანწყობილია.

პასუხები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს არის პატრულის საქმიანობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ზოგადი შეფასება. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა კმაყოფილია, ზოგადად, პატრულის მუშაობით და ქცევით.




როგორც აღმოჩნდა, გამოკითხული მოსახლეობის მხოლოდ, მცირე ნაწილს ჰქონდა ურთიერთობა პატრულის თანამშრომლებთან, რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო. ამგვარ მიზეზებად დასახელდა შემდეგი:



- იარაღის ნებართვის აღებაზე მქონდა საქმიანი შესვენრა პატრულთან; ვთხოვე დახმარება, რათა მიესწავლებინა კონკრეტული დაწესებულება და ძალიან გულისხმიერად და ყურადღებით მომექცნენ&
- პატრულმა 2-ჯერ გამაჩერა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო&; (დერძულა ხაზის გადაკვეთისა და მანქანის არასწორად გაჩაერების გამო)
- მოქალაქის (რომელსაც სცემდნენ) დახმარების მიზნით გამოვიძახე პატრული&
- გვიან ღამით სახლში წაყვანა ვთხოვე და მივიღე უარი, თუმცა პატრულმა ამიხსნა, რომ არ ჰქონდა საკუთარი კვადრატულან& გასვლის უფლება;
- ახალგაზრდებს შორის ჩხუბის გამო მოვიდა პატრული, რომელმაც შეკითხვები დასვა მომხდართან დაკავშირებით. არავინ დაუკავებიათ, რადგან ინციდენტი ამოწურული იყო&.

აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანთაგან, ვისაც ჰქონდა პატრულთან ურთიერთობა, უმრავლესობა დარჩა კმაყოფილი.

- რაოდენობა
- პროცენტი საერთო რაოდენობიდან
- პროცენტი მათგან, ვისაც ჰქონდა ურთიერთობა პატრულთან



4 მოსახლეობის დამოკიდებულება მოწმის ინსტიტუტის მიმართ


4.1 მოსაზრებები მოწმის ინსტიტუტის შესახებ

რესპოდენტთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ დანაშაულის გაცხადება პოლიციაში და მოწმის სახით მონაწილეობა არის რელიგიური მრწამსის საწინააღმდეგო ქმედება. ასეთ რესპოდენტთა უმრავლესობა გეპასუხობს, რომ ასეთი აზრი ჩამოუყალიბდათ რელიგიური ლიტერატურის გაცნობის შემდეგ. ასეთი რესპოდენტები უმცირესობას წარმოადგენენ.

გამოკითხული მოსახლეობის 2/3-ზე მეტის აზრით, დანაშაულის გაცხადება პოლიციაში და მოწმის სახით მონაწილეობა არის ცივილიზებული ნაბიჯი და ყველა მოქალაქისათვის მოქალაქეობრივი ვალი.


ნაწილობრივ ამის მიზეზია ის, რომ გამოკითხულთა მესამედს სმენია შემთხვევების შესახებ, როდესაც მძიმე დანაშაულში (მკვლელობა, გაუპატიურება, ძარცვა) ეჭვმიტანილი პირი გათავისუფლებულა, სწორედ მოწმეების არარსებობის გამო, რომლებიც მათ წინააღმდეგ ჩვენებებს მისცემდნენ. ამდგომარეობის თუნდაც ერთეული პრეცედენტი საგანგაშოა საზოგადოებისათვის.

რესპოდენტთა მოსაზრებები შემდეგნაირად ნაწილდება:
 დანაშაულის გაცხადება პოლიციაში და მოწმის სახით მონაწილეობა არის:



4.2 მოწმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისათვის განსახორციელებელი ქმედებები.

მოსახლეობის მოსაზრებები, თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მოქალაქეს არ ეშინოდეს დანაშაულის გაცხადება ან საქმეზე მოწმედ წარდგომა.



გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობის აზრით იმისათვის, რომ მოქალაქეს არ ეშინოდეს დანაშაულის გაცხადება ან მოწმედ მონაწილეობა, აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან გარანტიები, რაც გულისხმობს გარდა მოწმის ხელშეუხებლობისა, პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს ობიექტურ მუშაობას.


ნდობა და უსაფრთხოება—ეს არის ძირითადი პრობლემები, რომელიც ხელს უშლის მოწმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას.

- მოწმედ წარდგენა მიუღებელია მორალური თვალსაზრისით და ეწინააღმდეგება მათ მსოფლმხედველობას, რადგან "საზოგადოებაში ეს ითვლება ცუდ ტონად";
- საქართველოში მოწმის ინსტიტუტი არ მუშაობს, რამდენადაც სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს მოწმის უსაფრთხოებისა და ანონიმურობის დაცვის გარანტია. საკუთარი სიცოცხლის უსაფრთხოების და მორალური დისკომფორტის თავიდან აცილების გამო. ისინი თავს შეიკავებდნენ მოწმედ წარდგომისაგან, რამდენადაც მოელიან ეჭვმიტანილის მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლას, შურისძიებას და ანგარიშსწორებას. "თუკი ეჭვმიტანილი არის კრიმინალური ავტორიტეტი, ან საშიში დამნაშავე, ყოველთვის არსებობს მათი მხრიდან შურისძიების საფრთხე, რადგან არავინ არის დარწმუნებული, რომ დამნაშავე ობიექტურად იქნება დასჯილი".
- მოწმედ წარდგომისაგან თავის შეკავების მიზეზად სახელდება რელიგიური შეხედულებები, რადგან "მართლმადიდებლობაში მოწმედ წარდგომა ცოდვად ითვლება."

მიუხედავად იმისა, რომ თავად, რესპოდენტების მესამედი ერიდება მოწმედ მონაწილეობას, ზოგადად, მოწმის ინსტიტუტის არსებობა მნიშვნელოვნად მიაჩნიათ.

გაუწევდით თუ არა დახმარებას პაგრულს მოწმედ წარდგენის სახით, საჭიროების შემთხვევაში?

	რესპოდენტების რაოდენობა
მოწმის ინსტიტუტი გამოიძიებს სჭირდება, რათა დაადგინოს ჭეშმარიტება	83
პოლიცია მოწმის გარეშეც გამოიძიებს საქმეს	30
ეს პრობლემა საერთოდ არ დგას	1
არ ვიცი	1



4.3 სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის სწორი ურთიერთობის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ქმედებანი

რესპოდენტთა აზრით, იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს სწორი ურთიერთობა სამართალდამცავებსა და მოქალაქეებს შორის, საჭიროა:

- საზოგადოების ინფორმირება მოსალოდნელ შედეგებზე (81 რესპოდენტი)
- სასკოლო ასაკიდან შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება (52 რესპოდენტი)
- მოსახლეობაში აგიტაციის გაძლიერება (43 რესპოდენტი)

5 მოსახლეობის დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა "ვიდეოპატრულისა" და "ვიდეოპატრულის" სპეცრეპორტაჟების მიმართ

5.1 საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა „ვიდეოპატრულის“ მიმართ

გამოკითხული რესპოდენტების უმრავლესობა დადებითად არის განწყობილი სატელევიზიო გადაცემა ვიდეოპატრულის მიმართ.

დადებითი დამოკიდებულების დამადასტურებელი არგუმენტები:

- ეს გადაცემა ობიექტურად აშუქებს ინფორმაციას პატრულის საქმიანობის შესახებ. ამ გადაცემის საშუალებით მოსახლეობა ხედავს, რომ პატრული მოქმედებს ოპერატიულად და ობიექტურად და შესაბამისად თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში თავადაც მიიღებს ასეთ დახმარებას. ამის გამო მაყურებელი თავს გრძნობს დაცულად. ხდება საზოგადოების დაახლოება პატრულთან.
- ეს გადაცემა უზრუნველყოფს პოლიციისა და მედიის ეფექტურ ურთიერთობას.
- რესპოდენტთა აზრით, გაჩნდა პრეცედენტი, როდესაც დამნაშავეს ფაქტზე იჭერენ;
- პატრული ემსახურება სამართლიანობის დაცვას და ამ გადაცემით მოსახლეობაც სამართლიანობის დაცვაში მისი თანამონაწილე და თანამოაზრე ხდება;
- სხვადასხვა ტიპის დანაშაულის ტელევიზიით გააშუქება მოსახლეობას აწვდის ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რაც მას ანალოგიური საფრთხის თავიდან აცილებაში ეხმარება;
- პოტენციური დამნაშავე ხედავს, რომ პოლიცია მუშაობს. პოტენციურ დამნაშავეებში მოქმედებს შიშის ფაქტორი
- ამაღლებს პატრულის მიმართ ნდობას, პატივისცემას, კეთილგანწყობას.

გადაცემის სუსტი მხარეები

გადაცემას აქვს სკანდალური სტილი//N#ხასიათი. რესპოდენტთა აზრით, უნდა ხდებოდეს სიუჟეტების მკაცრი შერჩევა, რადგან "საზარელი ფაქტებისა თუ ოჯახური კონფლიქტების ჩვენება უარყოფითად მოქმედებს მოსახლეობის (განსაკუთრებით მცირეწლოვნების) ფსიქიკაზე."

გაუმართლებელია, როდესაც რაიმე შემთხვევის გამო კომენტარს აკეთებს მოწმეც, დაზარალებულიც და პატრულიც. ერთი მათგანის კომენტარი სრულიად საკმარისი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში ხდება მოწმის ანონიმურობის დარღვევა.

გადაცემა ემსახურება პატრულის პოპულარიზაციას და მასში გაშუქებული სიუჟეტები უფრო დადგმულ სპექტაკლს ჰგავს.

ვიდეოპატრული ძირითადად აშუქებს უპატრონო ადამიანების & მიერ ჩადენილ დანაშაულს. გადაცემის ობიექტივში არ ხვდებიან მაღალჩინოსნები და მათი ახლობლები;

დანაშაულებათა ხშირი გაშუქებით მოსახლეობას უჩნდება პანიკური განცდა, რომ დანაშაულის რიცხვმა იმატა.


"პატრულის თანამშრომლების საუბრი ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ პატრულის თანამშრომელთა შერჩევა დაბალი ინტელექტის კრიტერიუმით ხდება."

რიგ შემთხვევებში „ვიდეოპატრულის & გამოჩენა კიდევ უფრო ამწვავებს ოჯახურ კონფლიქტს.

დასკვნა

რესპოდენტების საუბრიდან გამომდინარე, სატელევიზიო გადაცემა "ვიდეოპატრულის" არსებობა გამართლებულია, რადგან რესპოდენტების უმრავლესობის აზრით გადაცემის ეთერში გასვლას აქვს უფრო მეტი დადებითი, ვიდრე უარყოფითი შედეგი.

გამოკითხულ რესპოდენტთა ურავლესობა თვლის, რომ ობიექტურად ხდება საპატრულო პოლიციის მუშაობის დეტალების გადმოცემა ვიდეოპატრულის მიერ.



გამოკითხული მოსახლეობის მოსაზრებები ვიდეოპატრულში მოქალაქეთა სახისა და სახელის დაფიქსირების შესახებ ორ, თითქმის თანაბარ ნაწილად იყოფა, ამიტომ ცალსახა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

ცალკეული ქალაქების მიხედვით მონაცემები ერთმანეთისაგან განსხვავდება: თბილისი:

- მოსახლეობის უმრავლესობა მოქალაქის ნების საწინააღმდეგოდ მისი სახის ჩვენების და მისი სახელის გაცხადების წინააღმდეგია.


ქუთაისი, ბათუმი:

- მოსახლეობის უმრავლესობა მოქალაქის ნების საწინააღმდეგოდ მისი სახის ჩვენების და სახელის გაცხადების მომხრეა

თელავი:


- მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რაოდენობა თანაბარია.

მონაცემთა მსგავსი განაწილების გამო კონკრეტულ ტენდენციაზე საუბარი რთულია. თბილისის შემთხვევაში ამის მიზეზი შეიძლება იყოს ქალაქის სიდიდე, რომლის გამოც მაყურებლისთვის გადაცემაში ნაჩვენები პირების აბსოლუტური უმრავლესობა უცნობია და მათი მონაცემების გაგებას მისთვის აზრი არ აქვს. მეორეს მხრივ, ამით ვერ აიხსნება ქუთაისში გამოკითხული მოსახლეობის დამოკიდებულება, რომელშიც მოსახლეობა ასევე არ არის მცირე.



5.2 საზოგადოების დამოკიდებულება სატელევიზიო გადაცემა „ვიდეოპატრულის“ სპეცრეპორტაჟების მიმართ

ვიდეოპატრულს აქვს სპეცრეპორტაჟი, რომელშიც ხდება პატრულის თანამშრომლების მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გადმოცემა და მათი საქმიანობის გარკვეული კუთხით შეფასება. რესპოდენტთა დამოკიდებულება სიუჟეტების მიმართ ძირითადად, დადებითია.



დადებითი დამოკიდებულების არგუმენტაცია:

- ეს გადაცემა წარმოაჩენს პატრულის თანამშრომელთა ადამიანურ მხარესა და პიროვნულ თვისებებს. მოსახლეობა ეცნობა, თუ რა კატეგორიის ხალხი მუშაობს პატრულში და რამდენად შეიძლება მათი ნდობა. გადაცემა ზრდის მათ მიმართ კეთილგანწყობასა და ნდობას.
- პატრულის საქმიანობას პრესტიჟულს ხდის და ახალგაზრდობაში აღძრავს საპატრულო სამსახურში მუშაობის სურვილს.

- ხდება პატრულის სამუშაოს პოპულარიზაცია.

სუსტი მხარეები:

- რესპოდენტთა გარკვეული ნაწილისათვის პატრულის თანამშრომელთა ცხოვრების დეტალების გაშუქება საინტერესო არ არის.
- გადაცემაში გასული სიუჟეტები აშკარად, შელამაზებულია და ამის გამო, ნაკლებად რეალურად გამოიყურება.
- რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ უნდა ხდებოდეს პოლიციელის ანონიმურობის დაცვა, ამიტომ ინფორმაცია უნდა იყოს ზოგადი და არა რომელიმე კონკრეტულ პატრულთან დაკავშირებული.
- გარდა ამისა, პოლიციელის ოჯახის წევრებზე და პირად ცხოვრებაზე ინფორმაცია არ უნდა ხმაურდებოდეს – ეს შესაძლებელია გამოიყენონ პოლიციელებზე ზეწოლისათვის.
- *"ზედმეტი რეკლამა და პოპულიზმია, რაც გამაღიზიანებელია."*

რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ ვიდეოპატრულის & სპეცრეპორტაჟებში უმჯობესია ყურადღება გამახვილდეს–

- პატრულის თანამშრომელთა ცოდნასა და პროფესიონალიზმზე, ინტელექტუალურ მონაცემებზე, ფიზიკური მომზადების დონესა და სპორტულ მონაცემებზე. ასევე, თუ როგორ ატარებენ თავისუფალ დროს. სატელევიზიო გადაცემებში უმჯობესია გაშუქებული იყოს, რას და როგორ სწავლობენ პროფესიონალიზმის ამადლების მიზნით;
- პატრულის პიროვნულ და პროფესიონალურ თვისებებზე, მათ მიღწევებზე; რას განიცდიან მუშაობის დროს, რამდენად აკმაყოფილებს სამუშაო მატერიალურად, განიცდიან თუ არა ემოციურ კმაყოფილებას;
- გადაცემაში მოყოლილ იქნას პატრულის თანამშრომლების ცხოვრების ისტორია, სადაც მათი ახლობლები ისაუბრებენ მათ ღირსებებსა და პატიოსნებაზე, რაც გაზრდის პატრულისადმი ნდობას;
- განსაკუთრებულ ქმედებებსა და ექსტრემალურ სიტუაციებზე - როგორ მიდის პატრული რისკზე საზოგადოების უსაფრთხოებისათვის, მოქალაქეების უფლებების დასაცავად.
- საპატრულო პოლიციის თანამშრომლების რელიგიურობაზე;
- ზოგადად დანაშაულის სისძირის შემცირების ტენდენციებზე;
- შემეცნებითი ტიპის ინფორმაცია დანაშაულის შემთხვევებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე და რეკომენდაციები მოსახლეობისათვის თითოეულ შემთხვევაში სწორი ქცევის ფორმების შესახებ.

ვიდეოპატრულისა და მისი სიუჟეტების მიმართ დადებითი დამოკიდებულების მიუხედავად, რესპოდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მგავსი გადაცემით სატელევიზიო ეთერი არ უნდა იყოს გადატვირთული. მათ საკმარისად მიაჩნიათ ვიდეოპატრულის & ეთერში გასვლა მხოლოდ დღეში ერთხელ.

6 მოსახლეობის დამოკიდებულება საუკეთესო პატრულის გამოვლენის მიმართ

6.1 მოსახლეობის დამოკიდებულება საუკეთესო პატრულის შეფასების კრიტერიუმების მიმართ

რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო პატრული უნდა ფასდებოდეს როგორც პიროვნული, ასევე პროფესიული ნიშნების მიხედვით. კერძოდ, საუკეთესო პატრული აუცილებლად უნდა იყოს:

- "კაცთმოყვარე, ჰუმანური, კეთილი";
- "კეთილსინდისიერი და არაკორუმპირებული";
- "ფსიქიკურად გაწონასწორებული";
- "საქმისადმი თავდადებული";
- "პრინციპული და სამართლიანი";
- "ინტელექტუალური";
- "სანდომიანი";
- "უანგარო";
- "დახვეწილი მეტყველების მქონე";
- "უმადლესი განათლებით (სასურველია ფლობდეს რომელიმე უცხო ენას)".


გარდა გარკვეული პიროვნული თვისებებისა, პატრული უნდა იყოს პროფესიონალი და ფიზიკური მომზადების მაღალი დონე. კერძოდ, საუკეთესო პატრულის შეფასებისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

- "ძლიერი აღნაგობა და კარგი ფიზიკური მომზადება";
- "იარაღის სწორად, პროფესიონალურად გამოყენების უნარი";
- "ოპერატიული, პროფესიული მოქმედების უნარი";
- "სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარი";
- "ექსტრემალურ სიტუაციებში ადექვატური მოქმედების უნარი";
- "პრევენციული ღონისძიებების ჩატარების უნარი";
- "ჩატარებული ოპერაციების ხარისხი".
- "მუშაობის სტაჟი და გამოცდილება";
- "საკანონმდებლო ბაზის ცოდნა".

რესპოდენტთა ნაწილი მიიჩნევს რომ საუკეთესო პატრულის გამოვლენა არ უნდა ხდებოდეს გახსნილი და აღკვეთილი დანაშაულის რაოდენობის მიხედვით, რადგან სხვადასხვა უბანში დანაშაულთა რიცხვი განსხვავებულია. ასეთი მიდგომის შემთხვევაში პატრულის შეფასება ვერ მოხდება ობიექტურად.

6.2 მოსახლეობის დამოკიდებულება "საუკეთესო პატრულის" გამოვლენის მიმართ

მოსახლეობის დამოკიდებულება 10 საუკეთესო პატრულის გამოვლენის მიმართ.



დადებითი არგუმენტაცია:

რესპოდენტები საუკეთესო პატრულის გამოვლენას დადებითად აფასებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ საუკეთესო პატრულის სტატუსი აძლიერებს პიროვნების მოტივაციას. ასეთი წამახალისებელი მოქმედება ხელს შეუწყობს მის პიროვნულ და პროფესიონალური ზრდას, გაზრდის მის პასუხისმგებლობასა და კეთილსინდისიერებას საქმისადმი.

გარდა ამისა, მათი აზრით საუკეთესო პატრულის გამოვლენა და დაჯილდოება სტიმული იქნება დანარჩენი პატრულებისათვის, რათა მათ კეთილსინდისიერად შესარულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები.

რესპოდენტების აზრით, ასეთი წამახალისებელი ფორმები დადებითად მოქმედებს თავად პატრულის იმიჯზე და მომავალი თაობისათვის უფრო პრესტიჟულს ხდის პოლიციელის საქმიანობას.

უარყოფითი არგუმენტაცია:


რესპოდენტების ეს ნაწილი თვლის, რომ კეთილსინდისიერად შესრულებული მოვალეობების აფიშირება არ არის საჭირო. ამასთან, არსებობს იმის საშიშროება, რომ ე.წ. შავმა სამყარომ & პირდაპირ გამოაცხადოს ნადირობა & საუკეთესო პატრულზე, დანარჩენი თანამშრომლების დაშინების მიზნით.

საუკეთესო პატრულის გამოვლენის ფაქტს უარყოფითად აფასებენ, რადგან მიიჩნევენ რომ პატრული ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ეს მისი პირდაპირი ფუნქციაა, ამიტომ მის მიერ თუნდაც კარგად შესრულებული საქმე არ არის გმირობა და განსაკუთრებულ ხაზგასმას არ საჭიროებს.

რესპოდენტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ საუკეთესო პატრულის შერჩევა მოხდება არაობიექტურად.

7 საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შეფასება, მოსახლეობის თვალთ დანახული საპატრულო პოლიციის პრობლემები

7.1 დანაშაულის რაოდენობის ცვალებადობა საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შემდეგ



გამოკითხული მოსახლეობის ნახევარის აზრით, საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შემდეგ დანაშაულთა რაოდენობა შემცირდა. თუმცა ისინი არ ფლობენ რაიმე სახის სტატისტიკურ მასალას, რაც დაადასტურებს მათ მოსაზრებას.


რესპოდენტთა მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ საპატრულო პოლიციის შექმნით, თითქმის არაფერი შეცვლილა.

ისინი, ვინც თვლის, რომ საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბების შემდეგ დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა, საკუთარ მოსაზრებებს ასე ხსნიან:

დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა:

- "არ არსებობს აგენტურის ქსელი და ინფორმაციული უზრუნველყოფა, რაც პატრულის მუშაობას ეფექტურს გახდიდა";
- "პატრულის თანამშრომლები არაპროფესიონალები არიან და არ იციან მუშაობა";
- "ქვეყანაში შექმნილ მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობებიდან გამომდინარე, გაიზარდა უმუშევართა რიცხვი და, შესაბამისად, იმატა დანაშაულთა რაოდენობამ";
- "დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა არა პატრულის ცუდად მუშაობის, არამედ ზოგადად უმუშევართა, განსაკუთრებით ყოფილი პოლიციის თანამშრომლების უმუშევრობის რიცხვის ზრდის გამო (ფასების კატასტროფული ზრდა და მწირი შემოსავალი მოსახლეობის ნაწილს უბიძგებს დანაშაულის ჩადენისაკენ)";
- "საპატრულო პოლიციამ შეითავსა სხვადასხვა დეპარტამენტის (საგზაოს, მოკვლევისა და ოპერატიული სამსახურები) ფუნქციები, რის გამოც მისი მუშაობის ხარისხი შემცირდა";

7.2 საპატრულო პოლიციის შექმნისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება



რესპოდენტების უმრავლესობა საპატრულო პოლიციის შექმნას სრულიად დადებითად აფასებს. მეტიც, ისინი თვლიან რომ საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბება მთავრობის ერთადერთი სრულიად სწორი გადაწყვეტილება იყო, რადგან შეიქმნა სრულიად ახალი, არაკორუმპირებული, ქმედითი სტრუქტურა, რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით თავის ფუნქციებს და მოვალეობებს ასრულებს; არის გაცილებით მობილიზებული და ოპერატიული, მოქმედებს

ცივილური მეთოდებით და გააჩნია უკეთესი ტექნიკა. საზოგადოებაში გაიზარდა ნდობა პოლიციის მიმართ და გაჩნდა დაცულობის განცდა.

რესპოდენტების ის ნაწილი, რომელიც თვლის, რომ საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბება ნაწილობრივ სწორი გადაწყვეტილება იყო, მიიჩნევენ:

- შეიცვალა პოლიციის სტრუქტურა, გაიწმინდა კორუმპირებული და თავნება თანამშრომლებისაგან, სტრუქტურა დაკომპლექტდა ახალგაზრდა, ენერგიული, სპორტული მონაცემების კადრებით. თუმცა გაუმართლებლად და უსამართლოდ მიიჩნევენ ძველი, გამოცდილი, პატიოსანი პოლიციელების განთავისუფლებას.
- ეს იყო მოუმზადებელი ნაბიჯი, რადგან პატრულზე იერარქიულად უფრო მაღლა მდგომ ორგანოებს ჯერ არ შეხებიათ რეფორმა, ამიტომ პატრულის საქმიანობა ვერ იქნება მეტად ეფექტური. რეფორმამ უნდა მოიცვას მთელი სისტემა.

გამოკითხულები, რომლებიც თვლიან, რომ საპატრულო პოლიციის შექმნის გადაწყვეტილება სრულიად არ იყო სწორი, გაუმართლებლად მიიჩნევენ სამი სხვადასხვა უწყების გაერთიანებას საპატრულო პოლიციაში, რაც საპატრულო პოლიციის საქმიანობის ეფექტურობას ვერ უზრუნველყოფს.

7.3 მოსახლეობის თვალთ დანახული საპატრულო პოლიციის პრობლემები

რესპოდენტები თვლიან რომ საპატრულო პოლიციის მუშაობის ეფექტურობას უზრუნველყოფს მათი მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინება და ხელმძღვანელობის მხრიდან წახალისება. მათი აზრით აუცილებელია:

- სახელმწიფოს მხრიდან პატრულის წახალისება, დაჯილდოვება, ხელფასების ყოველწლიური მატება, პატრულის თანამშრომელთათვის გადასახადების განახევრება და შესრულებული სამუშაოს მიხედვით პრემიების დაწესება, დასასვენებელი საგზურებით წახალისება, სიახლეების დანერგვა მუშაობის მეთოდებში.
- აუცილებელია მათი აღჭურვილობითა და თანამედროვე ტექნიკით უზრუნველყოფა. ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების უზრუნველყოფა; პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.
- პატრულის მუშაობის ეფექტურობას უზრუნველყოფს ზოგადად სხვა სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესება, მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებების ობიექტურობის უზრუნველყოფა, რათა მათი არაკანონიერი საქმიანობით არ მოხდეს პატრულის საქმიანობის გაუფასურება; "სამძებრო და საპატრულო სამსახური ერთნაირად უნდა გაძლიერდეს და განვითარდეს." შ.ს.ს.-ს ყველა განყოფილება ერთმანეთის მიმართ უნდა იყოს ანგარიშვალდებული.
- საპატრულო პოლიციაში უბნის ინსპექტორს, საგზაო პოლიციასა და ქვეით პატრულს შორის ფუნქციების გადანაწილების გზით პატრულის მორიგეობის საათების ოპტიმალურ დრომდე შემცირება. პატრულს უნდა ჩამოაცილონ ზედმეტი ვალდებულებები (ავადმყოფთა, უმწეოთა დახმარება და ა.შ.). ყველა მორიგეობის წინ ჩაუტარდეთ სამედიცინო შემოწმება;
- პატრულის საქმიანობის აგიტაცია-პოპულარიზაციის გზით საზოგადოებაში მის მიმართ ნდობის ამაღლება.
- საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა რიცხვის გაზრდა;
- კადრების შერჩევის ობიექტური სისისტემის შექმნა;
- უნდა გაუმჯობესდეს სავალი გზები და ქუჩის განათება.

- ძველი, გამოცდილის კადრების დასაქმება, რომლებიც ფლობენ გარკვეულ გამოცდილებასა და აქვთ აგენტორული კავშირები დამნაშავეთა შორის.

8 განსხვავებები ყოფილ პოლიციასა და საპატრულო პოლიციას შორის

8.1 მოსახლეობის თვალთ დანახული განსხვავებები

რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პრინციპულად განსხვავდებიან ყოფილი პოლიციის თანამშრომლებისაგან. მათი აზრით:


- საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მუშაობის მეთოდები გაცილებით ცივილურია. ყოფილი პოლიციის თანამშრომლებისაგან გამოირჩევიან კანონების ცოდნითა და აღსრულებით, უფრო მეტი დისციპლინით, პროფესიონალიზმით და ფიზიკური მომზადებით; არიან მოწვესრიგებულები, პატიოსნები, არაკორუმპირებულები, მობილიზირებულები, სამართლიანები, მოსახლეობის მიმართ კეთილგანწყობილი, უფრო ახალგაზრდა და განათლებული. მათი ძირითადი ნაწილი დასაქმებულია კონკურსის შედეგად.
- პატრული კანონდარღვევის შემთხვევაში არ ერიდება მაღალჩინოსნებს. მუშაობს საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად და არა პირადი სარგებლის მიღების მიზნით. შემცირდა მოქალაქეებისათვის სამხილის ჩადების შემთხვევები.
- საპატრულო პოლიცია მრავალფუნქციურია;
- საპატრულო პოლიციაში დასაქმებულები არიან ქალებიც, რომლებიც შესაძლოა რიგ შემთხვევებში აფერხებდნენ კონფლიქტური სიტუაციების განვითარებას;
- საზოგადოებაში პატრულის მიმართ მეტია ნდობა, რადგან: მუშაობენ უფრო სამართლიანად, ოპერატიულად, პროფესიონალურად და მეტი პასუხისმგებლობით, არ იღებენ ქრთამს.

მეორეს მხრივ, რესპოდენტები მიუთითებენ ისეთ განსხვავებებზეც, რომლებიც საპატრულო პოლიციის ნაკლოვანებებზე მიუთითებს:

- უნდა არსებობდეს ასაკობრივი ზღვარი, საპატრულო პოლიციაში არ უნდა მუშაობდნენ 22-25 წლის ქვემოთ მყოფი პირები. დღეს ძალიან ახალგაზრდებიც მუშაობენ;
- ფეხი მოიკიდა ჩაშვების ინსტიტუტმა;
- ერთეული რესპოდენტების აზრით, საპატრულო პოლიციასა და ყოფილ პოლიციეს შორის დიდი განსხვავება არ არის. მათი აზრით, შემცირდა ქრთამის აღების შემთხვევების რაოდენობა, მაგრამ გაიზარდა ქრთამის ღირებულება.

8.2 პატრულის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები

იცით თუ არა რაიმე კონკრეტული შემთხვევა პატრულის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის?



პატრულის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები დაასახელა რესპოდენტების უმცირესობამ. ამათგან ნახევარი მოდის თბილისზე და გაცილებით სერიოზული ხასიათი აქვს. რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევა, ძირითადად შემოიფარგლება მძღოლისათვის ჯარიმის გადახდის მოთხოვნით სათანადო ქვითრის გარეშე.

თბილისში საპატრულო პოლიციის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები გაცილებით მრავალფეროვანია:

- ქრთამის აღება, რითაც უდანაშაულო ადამიანის უფლებები დაირღვა.
- საგზაო მოძრაობის დარღვევისას მოქალაქეების განსხვავება სტატუსის მიხედვით.

დაკავების პროცესში ეჭვმიტანილის ცემის და მასზე ძალადობის ფაქტები

II. საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოსაზრებები

9 პატრულის თანამშრომელთა მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში მიღების ობიექტურობის შესახებ

9.1 გამოკითხულ პატრულთა მოსაზრებები საპატრულო პოლიციაში თანამშრომელთა მიღების ობიექტურობის შესახებ

საპატრულო პოლიციის თანამშრომელებთან ჩატარებული გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თავად, პოლიციის თანამშრომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, (ნახევარზე ოდნავ ნაკლები) თვლის, რომ საპატრულო პოლიციაში მოქალაქეთა მიღება ნაწილობრივ ობიექტურად ხდება.


საპატრულო პოლიციაში დასაქმების მიმართ, პოლიციელთა ნაწილობრივ არაობიექტურ დამოკიდებულებას რამოდენიმე მიზეზი განსაზღვრავს. მათი აზრით:

- გაუგებარია ტესტირების შეფასების კრიტერიუმები;
- ტესტირების დროს დასმული შეკითხვები ხშირად უადგილოა და არათემატურია;
- გაუგებარია, რა ნიშნის მიხედვით ნაწილდება კადრები თანამდებობებზე;
- საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ნაწილს არ გააჩნია მართვის მოწმობა, უფრო მეტიც, საერთოდ, არ იცის მანქანის მართვა;

ეს არის ის მიზეზები, რომლებიც დაასახელა თითქმის ყველა ქალაქის გამოკითხულ პატრულთა უმრავლესობამ.

რესპოდენტთა უკმაყოფილება ტესტირების შეფასების კრიტერიუმებისა და შეკითხვების (უადგილობის) გამო, შესაძლებელია სუბიექტურ მოსაზრებად ჩაითვალოს, მაგრამ რესპოდენტთა აზრით, როცა საპატრულო პოლიციაში მიღების ერთერთ აუცილებელ კრიტერიუმად მანქანის მართვის ცოდნა და შესაბამისი მოწმობა სახელდება, ხელმძღვანელობის მხრიდან, საპატრულო პოლიციაში დასაქმების ობიექტურობა ნამდვილად კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

საპატრულო პოლიციაში პატრულის თანამდებობაზე სამუშაოდ მიღების ობიექტურობის პატრულთა შეფასების მაჩვენებელი მონაცემთა ჭრილი.



10 საპატრულო პოლიციაში მუშაობის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი პრობლემები, აუცილებელი ტრენინგები და სწავლებები

10.1 საპატრულო პოლიციაში მუშაობის პირველი ეტაპისათვის დამახასიათებელი პრობლემები

საპატრულო პოლიციაში მუშაობის პირველ ეტაპთან დაკავშირებული პრობლემების კვლევამ პატრულის თანამშრომლებში, ძირითადად, ისეთი პრობლემები გამოავლინა, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკურ დატვირთვასთან. კერძოდ:

- ღამისთევასთან შეგუება;
- მძიმე ფიზიკური დატვირთვასთან შეგუება;
- იარაღის ფლობის დაბალი დონე;
- შიშის ფაქტორი ექსტრემალურ სიტუაციაში;
- პოლიციაში მუშაობასთან დაკავშირებული სასიცოცხლო რისკთან შეგუება;
- გასამხედროებულ რეჟიმში ცხოვრების სირთულე ქალი-პოლიციელებისთვის;

პრობლემებში წარმოჩინდა ბიუროკრატიული საკითხებიც. რომელთა შორის, ყველაზე ხშირად, სამუშაოდ დანიშვნის გადაწყვეტილების დაგვიანება დასახელდა.

ასევე, გამოვლინდა დამწყებ პოლიციელთა პრობლემებიც. რაც ძირითადად, ხალხთან ურთიერთობას უკავშირდება. რესპოდენტები თვლიან, რომ დამწყები პოლიციელისათვის აუცილებელია გარკვეული ჩვევების გამომუშავება, საზოგადოებასთან ურთიერთობაში პრობლემების დაძლევის მიზნით. რესპოდენტთა აზრით, მათი სამსახური მოითხოვს გარკვეულ თვისებათა შექმნას და კონტროლს საზოგადოებასთან სტაბილური ურთიერთობის გარანტიისთვის. კერძოდ, გაწონასწორებულობას, სიმშვიდეს, გონივრულობას, კეთილგანწყობას, პასუხისმგებლობას, და ა.შ. რაც მათი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე რთული საკონტროლებელია და პირველ ეტაპზე ჰქმნის პრობლემებს.

10.2 პოლიციელისათვის აუცილებელი ტრენინგები და სწავლებები


გამოკითხულ პატრულთა უმრავლესობა, აუცილებელ პირობად მიიჩნევს მუშაობის დაწყებამდე გარკვეული სახის სწავლებას/ტრენინგს. რესპოდენტებმა დაასახელეს ის აუცილებელი სწავლებები/ტრენინგები, რაც მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, სავალდებულოა ყველა პოლიციელისათვის:

1. იარაღის ფლობის კურსები;
2. იურიდიული კონსულტაციები;
3. ფსიქოლოგიური მომზადება;
4. ფიზიკური მომზადება;
5. ეთიკის გაკვეთილები;
6. ექსტრემალურ პირობებში მოქცევის წესები;

გამოკითხული პატრულების უმრავლესობას გავლილი აქვს ზემოთ ჩამოთვლილი სწავლებების ტრენინგები. მხოლოდ **თბილისსა და ბათუმში** აღმოჩნდნენ ერთეული თანამშრომლები, რომლებსაც არ გაუვლიათ სწავლება\ტრენინგები.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ პოლიციელთა ნაწილი, ამჟამად გადის სწავლებებს\ტრენინგს. თუმცა, გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ **ქუთაისისა და ბათუმის** პატრულის თანამშრომლების უმრავლესობა, ასევე, **თბილისის** პატრულის გარკვეული ნაწილი, არ გადის არანაირ სწავლებებს\ტრენინგს. რესპოდენტებისათვის უცხოა სწავლება\ტრენინგებისათვის მათი შერჩევის კრიტერიუმები.


რესპოდენტთა დამოკიდებულება სწავლება\ტრენინგების მიმართ და მათი მნიშვნელოვნების მაჩვენებელი მონაცემთა ჭრილი.




10.3 ჩატარებული ტრენინგებისა და სწავლებების კმაყოფილების ხარისხი

პატრულის თანამშრომელთა უმრავლესობის დამოკიდებულება ჩატარებული ტრენინგების მიმართ, დადებითია. უფრო მეტიც, მათ აღნიშნეს, რომ ჩაუტარდათ საკმაოდ მაღალი დონის ტრენინგები, თუმცა, ეს უკმაყოფილებას მაინც გამოთქვავენ სწავლების კურსის ხანმოკლე ვადების გამო.

რესპოდენტების ტრენინგებისა და სწავლებების მიმართ კმაყოფილების ხარისხის მაჩვენებლები.




სწავლების მაღალ ხარისხს, რესპოდენტთა გადმოცემით, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათი უმრავლესობა პრაქტიკაში იყენებს ტრენინგებზე მიღებულ ცოდნას.



10.4 საპატრულო პოლიციის აღჭურვილობის შეფასება პოლიციელთა მიერ

საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა გადმოცემით, აუცილებელია მათი აღჭურვილობისათვის ყურადღების გამახვილება. მიუხედავად იმისა, რომ რესპოდენტთა აზრი, ამ საკითხთან დაკავშირებით, საკმაოდ განსხვავებულია და არ გამოიკვეთება საერთო ტენდენცია, მაინც ჩანს უკმაყოფილების მიზეზი. პოლიციელთა თითქმის უმრავლესობამ აღჭურვილობის საჭიროებებში ჯავშანუილებები დაასახელა.



პოლიციის აღჭურვილობის შესახებ, შეკითხვაზე პასუხები, თითქმის, ყველა ქალაქში მსგავსია, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არცერთ ქალაქში არ გვხვდება.

10.5 პრობლემები, რომელსაც აწყდება პატრული ყოველდღიურ საქმიანობაში

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ დასახელებული პრობლემათა ჩამონათვალი, საკმაოდ დიდია. პრობლემათა ნუსხაში შედის როგორც ტექნიკური, ასევე პიროვნული ხასიათის საკითხები:

1. ტექნიკური ხასიათის პრობლემები

- უხარისხო აღჭურვილობა;
- არასაკმარისი რაოდენობის ტექნიკა და მანქანები;
- ჯავშანუილებების და ელექტროშოკის არქონა;

- საპატრულო პოლიციის შენობების კეთილმოწყობის პრობლემები; გაურემონტებელი ოთახები, რომელიც ბოსელს უფრო გავს ვიდრე ორგანიზაციას;
- დაზიანების შემთხვევაში მანქანა პატრულის შესაკეთებელია, ამის გამო ისინი ზედმეტად ფრთხილობენ, რაც ხელს უშლის შემთხვევაზე სწრაფ რეაგირებას და უარყოფითად აისახება პატრულის მუშაობის შედეგებზე;
- ზოგიერთ თანამშრომელს არ აქვს იარაღი;
- არ აქვთ გამოსაცვლელი ფორმები
- რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ ფაქტიურად ვერ ახერხებენ დასვენების საათებში სასადილოს გამოყენებას კვებისთვის. რადგან ისინი ტერიტორიულად გაფანტულები არიან ქალაქის სხვადასხვა კუთხეში. პატრულის სასადილო კი, რომელშიც საკვები იაფია და ხარისხიანიც ერთ ადგილზეა, საპატრულო პოლიციის შენობაში და იმ მცირე დროის მონაკვეთში, რაც მათი შესვენებისთვის არის განკუთვნილი, მანქანებში მშრალი საკვებით კვებას ამჯობინებენ.

რესპოდენტის თქმით, თუ მანქანის დაზიანება ეკიპაჟის ბრალია, დაზიანებულ ავტომობილს არემონტებს ეკიპაჟი, თუმცა გამოკითხულთა უმეტესობამ არ იცის, რა პრინციპით ხდება დამნაშავეის გამოვლენა. გარდა ამისა, პოლიციელების გადმოცემით, დაზიანებული გზების გამო ავტომობილების დაზიანებას ქალაქის გზებზე საგანგებო სიტუაციებში სწრაფი მოძრაობაც იწვევს. (ეს პრობლემა განსაკუთრებით რეგიონებს ეხება).

ტექნიკური ხასიათის პრობლემების გარდა, პატრულს პრობლემები ექმნება საზოგადოებასთან ურთიერთობაშიც.

- ეჭვიტანილის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევა;
- ეჭვიტანილის დაკავებისას წინააღმდეგობას გაწევა მისი ახლობლების მხრიდან;
- ცრუ გამოძახებები;
- კანონის დარღვევისას ცდილობენ თავის დახსნას ქრთამის გადახდის გზით;
- მაღალჩინოსნების მიერ კანონის მიმართ დაუმორჩილებლობა;
- მიკროავტობუსების მძღოლების კანონის მიმართ დაუმორჩილებლობა;
- მოსახლეობა საპატრულო პოლიციას არ აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას
- მოზარდები ხშირად აყენებენ შეურაცხყოფას საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, მათთან მხოლოდ პოლიციის მუშაობა არ კმარა
- მოსახლეობამ არ იცის კანონები, რთულია მათი დარწმუნება

ეჭვიტანილისა და შესაძლოა მისი ახლობლების წინააღმდეგობა პატრულის მიმართ დაკავებისას ნაწილობრივ გასაგებია, მაგრამ დანარჩენი დასახელებული პრობლემები პირდაპირ უკავშირდება საზოგადოებას, მისი კანონმორჩილების კულტურას. თუნდაც დასახელებული პრობლემებიდან ჩანს, რომ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული კანონის უზენაესობა და მოწესრიგებული კანონდამცავი სტრუქტურის-საპატრულო პოლიციის ჩამოყალიბებას მოუმზადებელი შეხვდა.

12. პატრულის თანამშრომელთა დამოკიდებულება მოწმის ინსტიტუტთან დაკავშირებით

10.6 პრობლემები, რომლებიც ექმნება საპატრულო პოლიციას მოწმეებთან დაკავშირებით.

ხშირია შემთხვევა, როდესაც მოწმის არ ყოფნის გამო, დამნაშავე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან. ასეთი შემთხვევები ხდება იმის გამო, რომ პატრულის თანამშრომელს ეჭვიტანილის დაკავება მოწმის გარეშე არ შეუძლია. მოწმის მოძიებას პატრულის თანამშრომლები ასე თუ ისე ახერხებენ დღის საათებში, მაგრამ ღამის საათებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ ღამის საათებში მომხდარი დანაშაულებების უმრავლესობა პოტენციურად გაუხსნელია.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თვლიან, რომ მოსახლეობა თავს დაცულად არ გრძნობს და შესაძლო გართულებების შიშით, ერიდება მოწმედ წარდგენას.

პოლიციელთა აზრით, *"თუ სახელმწიფო მათ ენდობა, ანდობს იარაღს და ავალებს, რომ დაიცვან საზოგადოებრივი წესრიგი, უნდა ენდოს ეჭვიტანილის დაკავების დროსაც, ან მოსახლეობაში უნდა მოხდეს საინფორმაციო სამუშაოების ჩატარება მოწმის ინსტიტუტისადმი ნდობის გასაზრდელად. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ საკუთარ თავზე უნდა აიღოს მოწმის უსაფრთხოების გარანტიების შექმნა."*


რა კონკრეტულ პრობლემას უქმნის პატრულის თანამშრომლებს მოწმის მოძიება:

- მოქალაქეებს არ სურთ მოწმედ წარდგენა, რადგან ერიდებიან შემდგომ გართულებებს
- ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე—ერიდებიან ჩაშვებას&
- ღამის საათებში ფიზიკურად შეუძლებელია მოწმის მოძიება
- მოწმის მოძიებას და დათანხმება დიდ დროსთან არის დაკავშირებული და თავისთავად, ხელს უშლის პატრულის ოპერატიულობას
- ხშირად მოწმე არ მიყვება პატრულს პოლიციის განყოფილებებში
- მოწმის გარეშე პატრული ვერ ამტკიცებს დანაშაულის არსებობას, რაც შეუძლებელს ხდის დამნაშავის დაკავებას
- ჩხრეკის დროს აუცილებელია 2 მოწმე, როგორც წესი, მოწმედ მონაწილეობაზე ადამიანების დათანხმება რთულია
- ოჯახური კონფლიქტების დროს ადამიანები ერიდებიან მოწმედ მონაწილეობას, რამდენადაც თვლისნ, რომ *"არ ღირს სხვისი ოჯახის საქმეებში ჩარევა"*
- მოსახლეობა ბოლომდე არ ენდობა პოლიციას

11 საპატრულო პოლიციასა და საზოგადოებას შორის წარმოქმნილი კონფლიქტური სიტუაციების მიზეზები.

11.1 საპატრულო პოლიციისა და შ.ს.ს.-ს სხვადასხვა განყოფილებების თანამშრომლობის ხარისხი

საპატრულო პოლიცია აქტიურად თანამშრომლობს შ.ს.ს. განყოფილებების მოკვლევის სამსახურებთან (კრიმინალური და საგამოძიებო, რაინული განყოფილებები). არსებობს თუ არა თქვენს ურთიერთ თანამშრომლობაში რაიმე პრობლემები?




გამოკითხულ პატრულთა უმრავლესობა პასუხობს, რომ შ.ს.ს.-ს სხვა განყოფილებებთან ურთიერთთანამშრომლობაში არანაირი პრობლემა არ არსებობს.

ის რესპოდენტებს, რომლებიც პასუხობენ, რომ მათ ურთიერთთანამშრომლობაში არის პრობლემები, შემდეგი კონკრეტული დასაბუთება მოჰყავთ:

- პატრულსა და შ.ს.ს. განყოფილებების ფუნქციების მკაცრი გამიჯვნის გამო, ხშირად წარმოიქმნება კომუნიკაციის პრობლემები, ინფორმაციის გადაცემა არ ხდება დროულად და საჭირო სიზუსტით, რაც პრობლემატურ ხდის მათ თანამშრომლობას, შეთანხმებულ ქმედებებს. მაგალითად, პატრული ვალდებულია, მიმართოს შესაბამის სამსახურებს წერილმანი დანაშაულის დროსაც, მათ კი არ სურთ თავის შეწუხება;
- პოლიციის განყოფილებებსა და საპატრულო პოლიციას შორის არის სფეროში კონკურენცია – ზოგჯერ შ.ს.ს. ს განყოფილება მიიწერს პატრულის დამსახურებას;
- არის შემთხვევები, როდესაც პატრულის მიერ დაკავებულ ჩინოვნიკების შეილება და ახლობლებს სხვა სამსახურები ათავისუფლებენ. ასეთ შემთხვევებში პატრულის შრომა წყალში იყრება;
- შ.ს.ს.-საგამოძიებლო განყოფილებები ცდილობენ გამოიყენონ საპატრულო პოლიციის თანამშრომლები – ისეთ საქმიანობაში, რაც პატრულს არ ევალება;


11.2 მოკვლევის სამსახურის საქმიანობის შედეგები

გამოკითხული საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა ნახევარი თვლის, რომ მოკვლევის სამსახური სრულიად ობიექტურად ატარებს გამოძიებას, მხოლოდ მცირე ნაწილი თვლის, რომ გამოძიება არაობიექტურად ტარდება.




11.3 საზოგადოებასთან ურთიერთობის პატრულისეული შეფასება. კონფლიქტური სიტუაციები საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს

რესპოდენტთა დამოკიდებულება საპატრულო პოლიციის მიმართ.



გამოკითხული საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა აზრით, საზოგადოების დამოკიდებულება პატრულის მიმართ დადებითია. უარყოფითი შეფასება საერთოდ არ გვხვდება. პატრულის მოსაზრებით საპატრულო პოლიციასა და საზოგადოებას შორის კონფლიქტური სიტუაციები იშვიათად წარმოიშობა:



საპატრულო პოლიციის თანამშრომლები პატრულსა და საზოგადოებას შორის კონფლიქტური სიტუაციების მიზეზებად, ასახელებენ შემდეგს:


- რესპოდენტები თვლიან, რომ ოჯახური კონფლიქტები მხოლოდ ოჯახის საქმეა და არა პოლიციის;
- მძღოლები ცდილობენ პრობლემის მოგვარებას ქრთამის შეთავაზებით. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მცირეა ჯარიმის ოდენობა, რადგან მართვის მოწმობის სამმართველოდან აღება რიგში დგომასთან, შესაბამისად დროის ხარჯვასა და დისკომფორტთან არის დაკავშირებული

- პრობლემები ექმნებათ ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს;
- წესრიგის დაცვისაკენ მოწოდების დროს ხშირია თავის მართლება მოქალაქეთა მხრიდან;
- საპატრულო პოლიციის მიერ კანონმორჩილების მოთხოვნის საპასუხოდ ჯერ ცდილობენ პირისპირ მოლაპარაკებას, შემდგომ კი გამოხატავენ აგრესიას საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიმართ;
- პრობლემები იქმნება მთვრალი მოქალაქეების ნარკოლოგიურში გადაყვანის დროს, მათ მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო;
- პოლიციის თანამშრომლების აზრით, პატრულის ფუნქციები მოქალაქეებისათვის არ არის მკვეთრად განსაზღვრული. პატრულს იძახებენ ყველა შემთხვევაში, მაშინაც კი, როცა საქმე მას არ ეხება.

12 მედიისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და საზოგადოებისაგან საპატრულო პოლიციის მხარდაჭერის სახეები, მხარდაჭერის მოლოდინები.

12.1 საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მოსაზრებები მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების მხარდაჭერის შესახებ

გრძნობენ თუ არა პატრულის თანამშრომლები მხარდაჭერას მედიისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან და საზოგადოებისაგან.



მხარდაჭერის კონკრეტული მაგალითები:

მედია:

- გადაცემები მიმართულია ნდობის ამაღლებისაკენ, პატრულის პროფესიონალიზაციისაკენ;
- საქმიანობა შუქდება ოპერატიულად და ობიექტურად;
- მედიაში არ ხდება პატრულის უსაფუძვლო კრიტიკა

არასამთავრობო ორგანიზაციები:

(მხარდაჭერა დასახელდა მხოლოდ თბილისსა და ბათუმში):

- ბათუმში, პატრულის თანამშრომლების თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციები დაეხმარნენ დაგვიანებული ხელფასის აღებაში (თუმცა ორგანიზაციის დასახელება ვერ შეძლეს);
- პატრულის ზოგიერთმა თანამშრომელმა არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან დასახელდა მორალური მხარდაჭერა, მაგრამ ვერ შეძლო მისი განმარტება;
- ჩატარდა გამოკითხვა პატრულის პრობლემების შესახებ;


საზოგადოება:

- საზოგადოებას საპატრულო პოლიციის დიდი იმედი აქვს, ნდობის ფაქტორი მაღალია, რაც მუშაობას აადვილებს;
- მოსახლეობა თანამშრომლობს პატრულთან, ხდება დროული შეტყობინება მომხდარი დანაშაულის შესახებ;
- საზოგადოება კანონს შედარებით მეტად ემორჩილება, ვიდრე ეს ხდებოდა 1-2 წლის წინ;
- მოწმეობაზე დათანხმება გაიოლდა;
- საზოგადოების ნაწილი იმ ენს დახმარების ინიციატივას კრიტიკულ მომენტებში. ესმარებიან დანაშაულის აღკვეთაში, დაზარალებულების მოვლაში და ა.შ.

საზოგადოების იმედი და დადებითი დამოკიდებულება საპატრულო პოლიციის მიმართ, პოლიციის თანამშრომელთა თქმით, აადვილებს მათ საქმიანობას, რაც მათთვის მნიშვნელოვან სტიმულს წარმოადგენს.

12.2 რა აღიზიანებთ პატრულის თანამშრომლებს მედიის მიერ პოლიციის საქმიანობის გაშუქების დროს

გამოკითხული თანამშრომლების ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ მედიის მიერ პოლიციის საქმიანობის გაშუქება ხდება ობიექტურად ყველა საჭირო პირობების დაცვით. შესაბამისად თანამშრომლობა დადებით ხასიათს ატარებს და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო განმტკიცდება.



12.3 მხარდაჭერის სახეები, რომელიც, პატრულის აზრით უნდა გამოხატოს მედიამ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ

რა სახის მხარდაჭერა უნდა გამოხატოს თითოეულმა მათგანმა.

მედია:

- "გადაცემები უნდა იყოს ობიექტური";
- "ხელი შეუწყონ პატრულის პოპულარიზაციას";
- "ხელი შეუწყონ პატრულისა და საზოგადოების დაახლოებას";
- "გადასცენ რეპორტაჟები პატრულის საქმიანობის შესახებ";
- "სასურველია მუშაობდეს ადგილობრივი (ქუთაისი, ბათუმი, თელავი) & ვიდეოპატრულიც, რაც მეტად შეუწყობს ხელს რეგიონებში პატრულის მიმართ ნდობის ამაღლებას";
- "ყურადღება უნდა გამახვილდეს საპატრულო პოლიციის შიდა სამსახურებრივ პრობლემებზეც";
- "გადაცემები უნდა იყოს ოპერატიული";
- "გადაცემები არ უნდა იყოს ორიენტირებული სკანდალებზე";
- "მოქალაქის და მოწმის ეკრანზე გამოჩენა უნდა ხდებოდეს ნებაყოფლობით";
- "აუცილებელია სპეცრეპორტაჟები განსაკუთრებით რთული ოპერაციების შესახებ";
- "ტელევიზიამ უნდა მოამზადოს შემეცნებითი გადაცემები, სადაც აღწერილი იქნება პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობები".

არასამთავრობო ორგანიზაციები:

- "იმუშაონ საზოგადოებასთან საპატრულო პოლიციისა და საზოგადოების დაახლოების მიზნით";
- "არასწორი გადაწყვეტილებების შემთხვევაში მხარში უნდა ამოუდგნენ პატრულის რიგით თანამშრომლებს";
- "ხელი შეუწყონ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას";
- "ხელი შეუწყონ მოწმის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას";
- "არ დაიცვან დამნაშავეები";


საზოგადოება:

- "პატრულს ენდონ ბოლომდე";
- "პატრულის გამოძახება მოხდეს დროულად";
- "დამსახურების შესაბამისად მიაგონ პატივი";
- "გადალახონ მოწმის ინსტიტუტისადმი არსებული სტერეოტიპული აზრი, ითანამშრომლონ საპატრულო პოლიციასთან";
- "შეწყვიტონ ცრუ გამოძახებები";
- "მაქსიმალურად დააკონკრეტონ ადგილი, სადაც ხდება დანაშაული და გასცენ ეჭვმიტანილის შესახებ მათ ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია";
- "თავი დაანებონ საქმეების ჩაწყობის მცდელობებს";
- "იყვნენ უფრო მეტად კანონმორჩილები".

ზემოთ ჩამოთვლილი მხარდაჭერის სახეების საერთო შინაარსი შეიძლება დავიდეს ერთ კონკრეტულ პრობლემაზე:


- საპატრულო პოლიცია პასუხისმგებლობას იღებს თავისი საქმის პირნათლად შესრულებაზე და ყველას – მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას სთხოვს თანამშრომლობას და ზრუნვას საზოგადოების სამართლებრივი შეგნების ამაღლებაზე.

12.4 ვიდეოპატრულის ყოველდღიური გაშუქების შედეგები, პატრულისა და ჟურნალისტების ურთიერთობები



რა როლს ასრულებს საპატრულო პოლიციის მუშაობაზე ვიდეოპატრულის ყოველდღიური გაშუქება?

პატრულის თანამშრომლებს დაესვათ შე მდელი სახის შეკითხვა: როგორ მოიქცევიან თუკი სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების მომენტში მიმართავს ჟურნალისტი რაიმე სახის კომენტარისთვის. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:



12.5 პატრულის მუშაობაში ტელევიზიის მონაწილეობით გამოწვეული პრობლემები

რეგიონებში არ დასახელებულა არცერთი სახის პრობლემა.

თბილისში დასახელდა პრობლემების მცირე რაოდენობა:

- დამნაშევე ღიზიანდება და გადადის სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაზე;
- პატრულის თანამშრომელს შესაძლოა არ სურდეს ტელევიზიით გამოჩენა შესაძლო შურისძიების შიშით;
- რთულდება მოწმის მოძიების პროცესი;
- ტელევიზიების მხრიდან არის მცდელობები ჩაერიონ პროცესებში, რაც ართულებს ოპერატიულ ქმედებებს;
- მოქალაქეები ხშირად ტელეკამერის გამო ამბობენ უარს მოწმეობაზე;
- შეიძლება გახმაურდეს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ და დამნაშავე მიიმალოს.

13 პატრულის თანამშრომელთა დამოკიდებულება "საუკეთესო პატრულის" გამოვლენის მიმართ

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ საუკეთესო პატრულის გამოსავლენად დასახელებული კრიტერიუმები

გამოკითხული პოლიციელების აზრით, საუკეთესო პატრულის გამოვლენა უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმებით:


- ეთიკური ქცევები;
- ესთეტიკური მხარე;
- პიროვნული ღირსებები;
- მოვალეობის პირნათლად შესრულება;
- ფიზიკური შესაძლებლობები;
- გონებრივი შესაძლებლობები;
- სიმამაცე;
- მოწოდებით პოლიციელობა;
- საკუთარ უბანში გამოვლენილი დანაშაულებების დიდი რიცხვი;
- პროფესიონალიზმი
- პატიოსნება.

გამოკითხული პატრულის მიერ დასახელებული კრიტერიუმები მოსახლეობის მიერ დასახელებული ნიშნების იდენტურია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა ორივე კატეგორია, უპირველეს, ყოვლისა ყურადღებას საპატრულო პოლიციის თანამშრომლების პიროვნულ ღირსებებზე ამახვილებს.

14 საპატრულო პოლიციის შიდა სისტემის, შიდა ურთიერთობის საკითხები


14.1 მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზები

50 გამოკითხული პატრულის თანამშრომლიდან 47 პასუხობს, რომ მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში აქვთ შესაძლებლობა მიმართოთ ხელმძღვანელობას.



აქვე უმრავლესობა პასუხობს, რომ ხელმძღვანელები სრულად ითვალისწინებენ თანამშრომლების მდგომარეობას და მონაწილეობას იღებენ პრობლემების მოგვარებაში.

პატრულის თანამშრომელთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოთქვავს უწყების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის ფორმებით, მაგრამ რთულია იმის განსაზღვრა, რამდენად გულახდილი იყო რესპოდენტთა პასუხები ამ კითხვაზე.



14.2 სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შექმნილი დამატებითი გარემოებები

აღსანიშნავია, რომ ქუთაისში, ბათუმსა და თელავში მივიღეთ მხოლოდ ერთი პასუხი "არანაირი პირობები, მხოლოდ გვპირდებიან".

მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებულია **თბილისში**:

გამოკითხულთა მიერ დასახელდა პირობების ნუსხა, რომლებიც მათი აზრით, სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად არის შექმნილი:


- ხელმძღვანელები ნებისმიერ კრიტიკულ სიტუაციაში გვერდით უდგანან რიგითებს;
- სამსახურებრივი მადლობები;
- ფულადი პრემიები;
- ჯეოსელში& უფასო 20 ლარიანი სალაპარაკო დრო;
- წესრიგი, დისციპლინა;
- პერიოდული სწავლებები კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;
- დაზიანებული მანქანების შეკეთება (თუ დაზიანებაში დამნაშავე არ არის პატრული);

- სასადილო, საშხაპე, გასახდელი, გათბობა (თბილისი);
- ხელფასების დროული გაცემა;
- სპორტული დარბაზი;
- კომფორტული ფორმა;

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თბილისსა და სხვა ქალაქებში საპატრულო პოლიციის სამუშაო პირობებს შორის განსხვავება ძალიან დიდია.

15 საპატრულო პოლიციაში არსებული შეღავათები და პრობლემები, რომლის გადაჭრის შემთხვევაში პოლიციის მუშაობა გახდება უფრო ეფექტური. საპატრულო პოლიციაში მუშაობის მოტივაცია

15.1 საპატრულო პოლიციაში არსებული შეღავათები



გამოკითხულთა ნახევარზე მეტი პასუხობს, რომ საპატრულო პოლიციაში არ მუშაობს არანაირი შეღავათების სისტემა.

იმ რესპოდენტთაგან, რომლებმაც შეკითხვას დადებითი პასუხი გასცეს, უმრავლესობა თბილისის პატრულის თანამშრომელია.

დასახელდა შემდეგი შეღავათები:

- სამსახურიდან დათხოვნა პირადი საჭიროების დროს;
- ჯეოსელში& უფასო 20 ლარიანი სალაპარაკო დრო (ეკიპაჟის ერთი წევრისათვის).

დასახელდა მხოლოდ თბილისში:

- უფასო მგზავრობა სახელმწიფო ტრანსპორტით;
- შსს პოლიკლინიკაში უფასო სამედიცინო მომსახურება;
- ფულადი პრემიები;
- სადღესასწაულო ფულადი საჩუქრები;

- უფასო სასწრაფო დახმარება;
- ომის მონაწილეები არ იხდიან საშემოსავლო გადასახადს.

ამ შემთხვევაშიც, სახეზეა საშეღავათო სისტემის არსებობა მხოლოდ დედაქალაქში. რეგიონებში აღნიშნული შეღავათები უმნიშვნელოა.

15.2 პრობლემები, რომლის გადაჭრის შემთხვევაში პოლიციის მუშაობა გახდება უფრო ეფექტური

პირველივე პრობლემა, რომელიც დასახელდა, ეს არის დაპირებული სახელფასო განაკვეთის შემცირება.

რეგიონებში ეს საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დგას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თავს გრძნობენ მოტყუებულად, რადგან მათ პრეზიდენტის დაპირებული ხელფასის 400 ლარის ნაცვლად 250 ლარს იღებენ. ეს პრობლემა თბილისის პატრულის წინაშე არ დგას.


პრობლემების ჩამონათვალი:

- არასრულია ტექნიკური აღჭურვილობა (ჯავშანუილეტების და ელქტროშოკის არქონა);
- კეთილმოუწყობელი დასასვენებელი ოთახები;
- მშრალი საკვებით მომარაგება;
- არ არსებობს ფეხოსანი პატრული, რის გამოც თანამშრომლებს ზედმეტად მუშაობა უხდებათ;
- პრობლემები იარაღითა და ტყვიაწამლით მომარაგება
- ავტომატური იარაღის სიმცირე
- უნდა გაიზარდოს დასვენების საათები—დღე—ღამის განმავლობაში უნდა ჰქონდეთ 2-3 საათის დასვენების უფლება;
- ცრუ გამოძახებების წინააღმდეგ მექანიზმების არარსებობა;
- დაპირებული საშხაპეების არარსებობა;
- არასაკმარისი მანქანები და თანამშრომლები;
- არასაკმარისი პირადი შემადგენლობა;
- მცირე ხელფასი;
- 12 საათიან სამუშაო გრაფიკზე გადასვლა
- სანდო და კვალიფიკაციური კადრების შერჩევა
- პატრულის უფლება-მოვალეობები უნდა გაიზარდოს
- მოწმის ინსტიტუტის შექმნა
- კვალიფიკაციის ამაღლება
- საზოგადოების მხარდაჭერა
- შსს განყოფილებებთან მჭიდრო თანამშრომლობა
- იარაღის ფლობაში დახელოვნება
- იაერარქიულ საფეხურებს შორის ბარიერების მოხსნა, ხელმძღვანელობისაგან მხარდაჭერა
- ფიზიკური მომზადებისათვის პირობების შექმნა
- იურიდიული ცოდნის გაღრმავება
- დასახვეწია ხელფასის გაცემის მექანიზმი
- მანქანების კომპიუტერიზაცია
- მობილური სატელეფონო კავშირის გაუმჯობესება

15.3 შესრულებული სამუშაოსა და ანაზღაურების შესაბამისობა

გამოკითხული პატრულის ნახევარი თვეის, რომ მათი შესრულებული სამუშაო მეტნაკლებად შეესაბამება ანაზღაურებას. რომლებიც ძირითადად, თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არიან.

მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, შესრულებული სამუშაო სრულებით არ შეესაბამება ანაზღაურებას.



მუშაობს თუ არა ორგანიზაციაში წახალისების სისტემა, ფულადი პრემიების სახით?


თბილისში გამოკითხული ყველა პატრული პასუხობს, რომ წახალისების სისტემა ფულადი პრემიების სახით მათ ორგანიზაციაში არსებობს.

თელავში ყველა პოლიციელი პასუხობს, რომ ამგვარი სისტემა მათთან არ მუშაობს.

ქუთაისსა და ბათუმში გამოკითხულთა პასუხები ორ ნაწილად იყოფა: პასუხობენ, რომ წახალისების სისტემა არსებობს, და პასუხობენ, რომ წახალისების სისტემა არ არსებობს. ასეთ ფონზე რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია.

15.4 საპატრულო პოლიციაში მუშაობის მოტივაცია

პატრულის თანამშრომლებს დაესვათ შემდეგი კითხვა, შეიცვლიდნენ თუ არა სამუშაო ადგილს უკეთესი ანაზღაურების შემთხვევაში.



გამოკითხულთა მხოლოდ მესუთედი პასუხობს, რომ შეიცვლიდა სამუშაოს უკეთესი ანაზღაურების შემთხვევაში, რესპოდენტთა თითქმის მესამედმა არ იცის ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდა—ეს არის პოტენციური კატეგორია, რომელმაც შესაძლებელია შეიცვალოს სამუშაო ადგილი. მკვლევარებს ინტერვიუს მსვლელობისას დარჩათ შთაბეჭდილება, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რესპოდენტების მხრიდან, არ ხდებოდა გულახდილად.

ორგანიზაციაში მუშაობის ძირითადი მოტვაცია.

- მაღალანაზღაურებადი სამუშაოა;
- პრესტიჟული სამუშაოა;
- მინდა დავამყარო წესრიგი;
- მინდა დავეხმარო ხალხს – მოწოდებით ვარ პოლიციელი;
- ვაუკაცური სამსახურია;
- უბრალოდ მომწონს პოლიციელის საქმიანობა;
- პროფესიით იურისტი ვარ, ეს ჩემი საქმეა;
- მიმაჩნია, რომ ჩემი ცოდნა და გამოცდილება აუცილებლად უნდა მოვახმარო საზოგადოებას;
- პოლიციელების ოჯახი მაქვს – ყველა თაობა პოლიციელი იყო;
- ეს არის უწყება, სადაც ობიექტურად ფასდება პიროვნების შესაძლებლობები;

16 განსხვავებები ყოფილ პოლიციასა და საპატრულო პოლიციას შორის

16.1 პატრულის თვალთ დანახული განსხვავებები

პატრულის თანამშრომელთა მოსახრებები ძველ პოლიციასა და პატრულს შორის განსხვავებების შესახებ თითქმის იმეორებს მოსახლეობის მოსახრებებს:

- პატრული ნაკლებად კორუმპირებულია;
- მოსახლეობა მეტად ენდობა,
- პატრული მუშაობს უფრო ობიექტურად და ეფექტურად, საკუთარ მოვალეობებს ასრულებს ანგარების გარეშე;
- აქვს უკეთ ესი პირობები—ანაზღაურება და ტექნიკური აღჭურვილობა;
- მეტია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და კონტროლი;
- ფიზიკური მონაცემებით პატრული აკმაყოფილებს სტანდარტებს;
- პატრულში შედარებით ახალგაზრდები მუშაობენ, რომელთაც აქვთ პროფესიული ზრდა-განვითარების რესურსი და პირობები;
- შეიცვალა თაობა და წარსულს ჩაბარდა პოლიციელებს შორის, "ქურდული მენტალიტეტი";
- პატრულში მუშაობა იქცა პრესტიჟულ პროფესიად;

თუმცა გამოითქვა მოსახრება, რომ ძველ პოლიციაშიც იყვნენ წესიერი და პატიოსანი ადამიანები, რომლებიც შეიქმნენ მანკიერი სისტემის მსხვერპლი.

17 დოკუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს

რესპოდენტებს უნდა დაესახელებინათ დოკუმენტაცია, სადაც ადამიანის უფლებები და თავისუფლებებია ჩამოყალიბებული. დასახელებულ დოკუმენტთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, რაც პატრულის თანამშრომლების ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში ინფორმირებულობაზე მეტყველებს. რესპოდენტთა შორის, თითამის ყველამ დაასახელა:

- საქართველოს კონსტიტუცია
- კანონი პოლიციის შესახებ

მათივე განმარტებით, ეს ის მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, რითაც უშუალოდ უწევთ ხელმძღვანელობა ყოველდღიურად. პოლიციელთა მიერ დასახელდა შემდეგი დოკუმენტებიც:

- სამოქალაქო კოდექსი;
- სისხლის სამართლის კოდექსი;
- ადმინისტრაციული კოდექსი;
- ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- გაეროსა და ეუთოს საერთაშორისო ნორმატიული აქტები;
- საგანგლის წიგნი: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები;
- კანონი სიტყვის თავისუფლების შესახებ;

დოკუმენტაციის შესახებ პასუხები თითქმის, ყველა ქალაქში მსგავსია, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება არცერთ ქალაქში არ გვხდება.

მოსახლეობაში გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობას გაუჭირდა რაიმე სახის დოკუმენტების დასახელება.

რამოდენიმე რესპოდენტმა დაასახელა შემდეგი დოკუმენტები:

- საქართველოს კონსტიტუცია
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დეკლარაცია
- გაეროს კონვენცია
- უდანაშაულობის პრეზუმფცია
- ბავშვთა უფლებების დაცვის დეკლარაცია
- ავადმყოფსა და ექიმს შორის ურთიერთობის დეკლარაცია
- ექიმის და პაციენტის უფლება-მოვალეობები

ასევე, რესპოდენტების ნაწილმა იცხა, რომ ყველა ადამიანს აქვს ადვოკატის აყვანის უფლება და შეუძლია ადვოკატის მოსვლამდე გამოიყენოს დუმილის უფლება.